ი-ნ ი. ნაოელბავას

გთხოვთ განიხილოთ და " მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად აწარმოოთ საქმისწარმოება

ვ. აბაშიძე
06.06.2016 წ.

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

ა(ა)იპ გორის სათემო რადიო მოზაიკა-ს
ს/ნ 417888227
მისამართი: საქართველო, გორი, ანტონოვის ქ., №1
ტელ: 599 53 85 43
ელ.ფოსტა: dolushviligvantsa@gmail.com
radiomosaic@gmail.com

განცხადება
(ლიცენზიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის თაობაზე)

მოგახსენებთ, რომ გვსურს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 5 მაისის #292/10 გადაწყვეტილებით სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა.

წარმოგიდგენთ ამავე გადაწყვეტილებით მოთხოვნილ ინფორმაციას:

საფირმო სახელწოდება: გორის სათემო რადიო მოზაიკა;
სამართლებრივი ფორმა: არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 417888227;
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 24/12/2015;
მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
იურიდიული მისამართი: საქართველო, გორი, ანტონოვის ქ., №1
მმართველობის ორგანო: წევრთა საერთო კრება
ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა: დირექტორი- გვანცა დოლუაშვილი პ/ნ 59001112860

ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
ლიცენზიის სახეობა: სათემო მაუწყებლობა;

ქ.11/5199-16
06 06 16

#Mosaic

მოზაიკა - პირველი საათემო რადიო გორში

აიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გორის მუნიციპალიტეტი (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 5 მაისის #292/10 გადაწყვეტილებით განსაზღვრული გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მიწიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით);

მაუწყებლობის ენა: ქართული

მაუწყებლობის ხანგრძლივობა: 16 საათი

განცხადებას დალუქული სახით თან ერთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 5 მაისის #292/10 გადაწყვეტილებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

გვანცა დოლუაშვილი
დირექტორი

06.06.2016

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15232392, 24/12/2015 16:27:10

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	გორის სათემო რადიო მოზაიკა
სამართლებრივი ფორმა:	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	417888227
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	24/12/2015
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, გორი, ანტონოვის ქ., №1
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	radiomosaic@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- წევრთა საერთო კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 59001112860, გვანცა დოლუაშვილი

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის

	შესაბამისობის დეკლარაცია	დანართი N1
1	ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები	ა(ა)იპ გორის სათემო რადიო მოზაიკა; ს/ნ **417888227**
2	სამაუწყებლო ლიცენზი(ებ)ის/ ავტორიზაციის ნომერი (ივსება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ)	
3	მონაცემები ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანოების შესახებ	მმართველი ორგანო - წევრთა საერთო კრება, ხელმძღვანელი - დირექტორი გვანცა დოლუაშვილი პ/ნ **59001112860,**
4	ვადასტურებ ხელმოწერითა და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის მონაცემებით, რომ ლიცენზიის მაძიებელი/ავტორიზაციის მსურველი პირი, ან/და ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან: ა) ადმინისტრაციული ორგანო; ბ) ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე; გ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი; დ) პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი; ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი; ვ) იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.	
		უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი
5	ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის, ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე.	დამფუძნებელია ა(ა)იპ სტუდია რე; ს/ნ **202061133**

#Mosaic

მოზაიკა - პირველი სათემო რადიო გორში

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

ცნობა

(განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ)

გაცნობებთ, რომ ააიპ გორის სათემო რადიო მოზაიკას არ აქვს საწესდებო კაპიტალი და არც მისი განაგდებული ნაწილი.

პატივისცემით,

გვანცა დოლუაშვილი,

დირექტორი



#Mosaic

მოზაიკა - პირველი სათემო რადიო გორში

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

ცნობა

(პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადის შესახებ)

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ გორის სათემო რადიო „მოზაიკა“ პრაქტიკული საქმიანობის დაწყებას გეგმავს ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის ვადაში.

პატივისცემით,

გვანცა დოლუაშვილი,

დირექტორი

#Mosaic

მოზაიკა - პირველი სათემო რადიო გორში

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

ცნობა

(აქტივებისა და პასივების შესახებ)

გაცნობებთ, რომ 2016 წლის 31 მაისის თვის მონაცემებით ორგანიზაციის აქტივები არის 35 207,43 ლარი, პასივები - 35 207,43 ლარი.

პატივისცემით,

გვანცა დოლუაშვილი,

დირექტორი

საგადახდო დავალება
Payment Order

932 GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 03/06/2016

გადამხდელი / Sender

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის-საქ, 404391813

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE76TB7963936080100001

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის-

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 404391813

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი თემი გორი)

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300843062

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

მოსაკრებელი კერძო და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიერებიდან

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

აიპ გორის სათემო რადიო მოზაიკასათვის (417888227) სათემო რადიომაუწყებლობის მისაღებად კონკურსში მონაწილეობისათვის

რეფერენსი / Ref. Num.

1370664448

თანხა / Amount

2,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორი ათასი ლარი და 00 თეთრი

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

03/06/2016

ხელმოწერა
Signature

დასტურდება ინტერნეტ ბანკში
თიბისი ბანკი
TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

#Mosaic

მოზაიკა - პირველი სათემო რადიო გორში

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

ცნობა

(პროგრამების გავრცელებისთვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების თაობაზე)

რადიოსიგნალის გავრცელდება საქართველოში არსებული კომპანიის მიერ დამზადებული გადამცემით და საანძე მეურნეობით.

ანძაზე საანტენო და საკომუნიკაციო ქსელების მონტაჟი გულისხმობს უსაფრთხოების ნორმების დაცვას. სამაუწყებლო საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები განისაზღვრება ISO სტანდარტით [ISO 9001 Certified] და მისი ექსპლუატაცია/ოპერატიული მომსახურება (ოპერატიული მომსახურება ითვალისწინებს აპარატურის მონიტორინგის შესაძლებლობას, ჩართვა-გამორთვას და ავარიის შემთხვევაში სარეზერვო სისტემაზე გადასვლას, ასევე ელ.ენერგიის გამანაწილებელი სისტემით მომსახურებას) შესაძლებელია საქართველოში არსებული კომპანიების მხარდაჭერით.

პროგრამების გავრცელებისთვის მარეგულირებელი კომისიის მიერ მითითებულ გეოგრაფიულ კოორდინატებზე განთავსებულ ანძაზე მონტაჟდება რადიო-გადამცემი 'SET FM-ST-100W, N.series', გამსხივებელი ანტენა [შედგება 2 ცალი ვერტიკალური პოლარიზაციის დიპოლისგან] და 5GHZ სიხშირის მიმღები [5 GHz High-Performance Integrated InnerFeed® Antenna Model: AG-HP-5G27].

გადამცემის მომწოდებელი: შპს "სეტ", ტელ: +995 32 476081, მობ: +995 77 524062

ინსტალაციის მონიტორინგი: შპს "ინფორმაციული ტექნოლოგიები", 204497570

პატივისცემით,

გვანცა დოლუაშვილი,

დირექტორი

გ.დოლუაშვილი

საგადახდო დავალება
Payment Order

931 GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 03/06/2016

გადამხდელი / Sender

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის-საქ, 404391813

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE76TB7963936080100001

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

ს.ს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის-

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 404391813

მიმღები / Receiver

'საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია'

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code GE11TB0600000000609326

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ს.ს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code TBCBGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

სალიცენზიო გადასახდელის 10 პროცენტი ააიპ გორის სათემო რადიო მოზაიკასათვის (417888227) სათემო რადიომაუწყებლობის მისაღებად კონკურსში მონაწილეობისათვის

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ააიპ გორის სათემო რადიო მოზაიკასათვის (417888227)

ხელმოწერები
Signatures

რეფერენსი / Ref. Num.

1370664455

თანხა / Amount

607.50 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ექვსასშვიდი ლარი და 50 თეთრი

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

03/06/2016

ხელმოწერა
Signature

დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი
TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

#Mosaic

მოზაიკა - პირველი სათემო რადიო გორში

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

მინდობილობა

ემლევა მარიამ გოგოსაშვილს (პ/ნ 01027057484) მასზედ, რომ იყოს ააიპ გორის სათემო რადიო მოზაიკას (ს/ნ 417888227) წარმომადგენელი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

წარმომადგენელი უფლებამოსილია ორგანიზაციის სახელით განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება.

მინდობილობა ძალაშია 3 (სამი) თვის ვადით.

პატივისცემით,

გვანცა დოლუაშვილი,

დირექტორი

09.06.2016

#Mosaic

მოზაიკა - პირველი სათემო რადიო გორში

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

ცნობა

(განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ)

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ გორის სათემო რადიო „მოზაიკა“ საკუთარი საქმიანობის განხორციელებას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზით გეგმავს.

გორის სათემო რადიო „მოზაიკამ“ უკვე მიიღო პირველი გრანტი - ოთხთვიანი პროექტი „ქალები ქალაქს მიღმა“ გუნდს ორგანიზაციამ „ქალთა ფონდი“ დაუფინანსა. პროექტის მიზანია იმ გარემოებების გამოკვეთა, რომლებიც განსაზღვრავენ სოფლად მცხოვრები ქალების ყოფას / ცხოვრებას.

გორის სათემო რადიო „მოზაიკა“ ჩართული იყო საერთაშორისო ორგანიზაციის „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ქალები თემის გაძლიერებისთვის“ განხორციელებაშიც. კერძოდ, „მოზაიკა“ პროექტს საინფორმაციო მხარდაჭერას უწევდა და ასევე პროექტის ბენეფიციარების მონაწილეობით აუდიო რუბრიკებს ამზადებდა.

ამჟამად, „მოზაიკა“ ფონდში „ღია საზოგადოება - საქართველო“ წარსადგენად, ახალ პროექტზე მუშაობს, რომლის მთავარი მიზანი ადგილობრივი ბიუჯეტის მედია მონიტორინგი იქნება.

თემისთვის მნიშნელოვან საკითხებზე პროექტების დაწერა-განხორციელებისთვის, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსების მიღების გარდა, გორის სათემო რადიო „მოზაიკა“ თანამშრომლობას აპირებს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. კერძოდ, „მოზაიკა“ გეგმავს მათ საინფორმაციო მხარდაჭერა შესთავაზოს, რაც თავის თავში მათი აქტივობების/პროექტების/მიზნების და საქმიაბობის აქტიურ გაშუქებას გულისხმობს.

„მოზაიკა“ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით საკუთარ საეთერო დროს და მომსახურებას სხვადასხვა კომპანიებსაც შესთავაზებს.

#Mosaic

მოზაიკა - პირველი სათემო რადიო გორში

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

უნდა აღინიშნოს, რომ გორის სათემო რადიო „მოზაიკის“ საქმიანობა არამომგებიანია. მისი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს: გრანტი; კომერციული რეკლამა, სპონსორობა,

პირადი შემოწირულობები, რომელსაც თემის წევრები ლეგალურად გაიღებენ სათემო რადიოს განვითარებისთვის და თემის წევრების საწევრო გადასახადი.

დაფინანსების ასეთი სისტემის არსებობა და გამჭვირვალობა გამორიცხავს, რომ სათემო რადიო აღმოჩნდეს როგორც ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების, ისე სხვადასხვა კომერციული სტრუქტურის ზეგავლენის ქვეშ. „მოზაიკის“ გუნდი ფიქრობს, რომ პოლიტიკური პარტიებისა და სხვა ინტერესთა ჯგუფების დაფინანსება დიდ საფრთხეს უქმნის სარედაქციო დამოუკიდებლობას. ამიტომ აღნიშნული მედია საშუალება უარს ამბობს დაფინანსების მსგავს წყაროებზე.

გორის სათემო რადიო „მოზაიკის“ მიზანია, ხელი შეწუყოს საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის გააზრებს და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებს. „მოზაიკის“ გუნდი აღნიშნულის მიღწევას საკუთარი საქმიანობით გეგმავს და ფიქრობს, რომ მიზანთან მიახლოებასთან ერთად, გაიზრდება „მოზაიკის“ შემომწირველთა რაოდენობაც.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მაუწყებლობისთვის საჭირო ტექნიკა გადმოგვცა ააიპ სტუდია რე-მ, აგრეთვე პარტნიორობის ფარგლებში საოფისე ფართითა და კომუნალური გადასახადებით უნრუნველგვყოფს საერთაშორისო ორგანიზაცია - ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის.

პატივისცემით,

გვანცა დოლუაშვილი,

დირექტორი

#Mosaic

მოზაიკა - პირველი სათემო რადიო გორში

ააიპ გორის სათემო რადიო "მოზაიკა"

ტელ: +995 53 85 43; +995 595 99 24 04
ელ-ფოსტა: mosaicradio@gmail.com

www.radiomosaic.org

განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია

და

სამაუწყებლო ბადე

თემის წევრები ავრცელებენ თემის სიახლეებს, რომელსაც აწვდიან თემის სხვა წევრებს და ამით აძლიერებენ თემს - ეს არის თანამედროვე სათემო მაუწყებლობის მთავარი პრინციპი.

ამ პრინციპზე დაყრდნობით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „სტუდია რე“ 2015 წლის დეკემბერში დააფუძნა გორის სათემო რადიო, რომლის მიზანია, იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება; მათი პრობლემების იდენტიფიცირება და აღნიშნულ საკითხებზე საჯარო მსჯელობების დაწყების გზით – თემის მდგომარეობის გაუმჯობესება. ასევე, თემის წევრებისთვის თავისუფალი სივრცის დათმობით, მათი, როგორც მაღალი სამოქალაქო კულტურის მქონე ერთობის ჩამოყალიბება.

სათემო რადიოს ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარე, „მოზაიკას“ გადაწყვეტილი აქვს, მედია პროდუქტის (გადაცემები, რეპორტაჟები, რუბრიკები და ა.შ.) შექმნის პროცესში უშუალოდ თემის წევრები ჩართოს.

„მოზაიკა“ ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავს, ხელი შუუწყოს მოქალაქეთა დემოკრატიულ ფასეულობებთან დაახლოებას და ქალაქ გორსა და გორის მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის გამჭვირვალეობას.

გორის სათემო რადიო „მოზაიკის“ მახასიათებლები:

- „მოზაიკა“ ქმნის საინფორმაციო ინფრასტრუქტურას. ამით ის ერთგვარად ემსგავსება საზოგადოებრივ და კერძო რადიოებს, თუმცა მეორეს მხრივ, არ კარგავს საკუთარ მთავარ მახასიათებელს - მედია პროდუქტს ამზადებს უშუალოდ თემის წევრების ინიციატივით და მონაწილეობით.

- გორის სათემო რადიოში ტოლი - ტოლს, მსგავსი მსგავსს ესაუბრება. თუკი საზოგადოებრივ ან კერძო მაუწყებლობაში აუცილებლად მოიძებნება ჟურნალისტი, რომელიც მენტორულად ესაუბრება მაყურებელს ან მსმენელს და ამით ხაზს უსვამს თავის უპირატესობას, სათემო რადიოში მსმენელს ესაუბრება მისი მეზობელი, ახლობელი ადამიანი, რომელიც შესაძლოა, არ იყოს თანამოაზრე, მაგრამ გასაგებად და მისაღებად უხსნის ამბავს.

- „მოზაიკაში“ სამუშაოდ არ მოდიან მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალი ჟურნალისტები. აქ თავიდან მოდიან ადგილობრივი მცხოვრებნი, მოქალაქეები, რომლებიც ინტერესდებიან თემის პრობლემატიკით. ხდებიან სოციალურად აქტიურები და ეტაპობრივად იძენენ ჟურნალისტუ უნარ-ჩვევებს. რადიოს წარმატება „სათემო აქტივისტებშია“.

- სათემო რადიო თემისთვის მისაღებ ენაზე საუბრობს. „მოზაიკა“ ეხმარება თემს თვითიდენტიფიცირებაში და ცდილობს, მაქსიმალურად წარმოაჩინოს ადგილობრივი ინტერესები. სათემო რადიოცდილობს, დანერგოს და განავითაროს საკითხების დისკუსიის გზით მოგვარების პრაქტიკა.

„მოზაიკა“ - თემზე დაფუძნებული რადიო

გორის სათემო რადიო „მოზაიკა“ იზიარებს ზოგადად მედიის სამოქმედო სამ უმთავრეს პრინციპს: იგი ავრცელებს ახალ ამბებს; ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას და ართობს მომხმარებელს. გარდა ამ სამი პრინციპისა, „მოზაიკას“, როგორც სათემო რადიოს ახასიათებს მეოთხე პრინციპი - თანამშრომლობა. სწორედ თემის თითოეული წევრის აქტიურობა, მათი მონაწილეობა / ჩართულობა სათემო რადიოს საქმიანობაში ზრდის რადიოს მიმართ მთელი თემის სანდო დამოკიდებულების ხარისხს.

„მოზაიკის“ მისიის განაცხადი:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება;
- თემის საჭიროებების იდენტიფიცირება;
- დებატების მეშვეობით თემის ინფორმირება, გართობა და შემეცნება;
- გააძლიეროს თემის წევრები, გამოუმუშაოს მათ ის უნარ-ჩვევები, რომლის მეშვეობითაც ისინი პროფესიული დონის რადიოგადაცემებს მოამზადებენ და განიხილავენ თემისთვის აქტუალურ საკითხებს;
- გააშუქოს ყველა იმ ჯგუფის კულტურა, რომელიც ცხოვრობს ამ თემში და პატივი სცეს მას;
- რადიოგადეცემის ავტორებს არ მისცეს რადიოს საკუთარი ან ვინმეს კერძო ინტერესების ექსკლუზიური დაცვისთვის გამოყენების შესაძლებლობა;
- რადიოგადაცემის ავტორებს არ მისცეს ეთერში დეზინფორმაციის გავრცელების საშუალება;
- უზრუნველყოს მსმენელისთვის დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება.

ამ ტიპის განაცხადის შემდეგ გორის სათემო რადიო „მოზაიკის“ თითოეულ თანამშრომელთან თუ მოხალისესთან გაიოლდება საუბარი პროფესიული სტანდარტებისა თუ ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ. რადიოპროგრამების წყალობით, ეს ნორმები ზიარი ხდება მთელი თემისთვის, მისი ნებისმიერი წევრისთვის.

ერთია, როდესაც სათემო რადიოს სარედაქციო დამოუკიდებლობა კანონით დაცულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, კომერციული და რელიგიური ორგანიზაციების ზეგავლენისგან, მაგრამ მეორეა, როცა თემის თითოეული წევრის მაღალი სამოქალაქო კულტურა აძლებს ბიძგს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

რადიო „მოზაიკის“ ფუნქციები:

- ადგილობრივი იდენტობის, ხასიათისა და კულტურის წარმოჩენა: „მოზაიკა“ უმთავრესად პროგრამებში თემის იდენტობისა და ხასიათის წარმოაჩენს. ინფორმაციაც და სხვადასხვა ღონისძიებებიც ადგილობრივი თემის სპეციფიურ ინტერესებს ასახავს.

- ხმებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება ეთერში: „მოზაიკა“, როგორც სათემო რადიო ეფუძნება თანამონაწილეობის პრინციპს და იგი ღიაა თემის ყველა სექტორისა და ინდივიდისათვის.

- პროგრამებისა და შინაარსის მრავალფეროვნება: „მოზაიკა“ წარმოადგენს სხვადასხვა ფორმატისა და სტილის გადაცემებს. მაგალითად, რეპორტაჟებს, ინტერვიუებს თოქ-შოუებს გამოკითხვებს და ა.შ.

- ღია დიალოგისა და დემოკრატიული პროცესის წახალისება: “მოზაიკა“, როგორც სათემო რადიო, ცდილობს ინტერაქციული დისკუსიებისთვის დამოუკიდებელი პლატფორმა მოამზადოს. საჯარო დებატი სათემო რადიოში, ერთი მხრივ, აახლოებს ადგილობრივ მთავრობასა და კერძო ინსტიტუციებს, მეორე მხრივ კი აძლიერებს ფორუმს თავად თემის წევრებს შორის.

- განვითარებისა და სოციალური ცვლილებების წარმოჩენა: სათემო რადიო მაქსიმალურად უწყობს ხეს შიდა დისკუსიებს. ამ დისკუსიების წყალობით თემის წევრები აკეთებენ თემში მიმდინარე პროცესების ანალიზს და შემდგომ პროაქტიურ ქედებასაც ახერხებენ.

რადიო „მოზაიკის“ მიზნები:

- გახდეს ყველაზე სანდო მედია საშუალება თემის წევრებისთვის;
- აამაღლოს მოქალაქეთა ცნობიერების დონე;
- აამაღლოს რადიო ბაზრის სტანდარტები;
- შეავსოს საგანმანათლებო–შემეცნებითი შინაარსის თვალსაზრისით ადგილობრივ მედია საშუალებებში არსებული დეფიციტი;
- შექმნას/დაგეგმოს და განახორციელოს თემის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები და აქტივობები;
- ბიძგი მისცეს მოქალაქეთა მხრიდან მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ხმამაღალი საუბრის დაწყებას;
- პოპულარიზაცია გაუწიოს რადიოს, როგორც ინფორმაციის მიღების ერთ–ერთ მნიშვნელოვან წყაროს;
- მედია პროდუქტის გავრცელებისა და აუდიტორიის გაზრდის მიზნით, გამოიყენოს სხვადასხვა ინტერნეტ და ტექნოლოგიური საშუალებები. (მაგალითად, რადიოს სახლში მოსმენის ჩვევის წახალისების მიზნით, საჩუქრად დაარიგოს რადიომიმღებები, საინფორმაციო ბროშურები, თავშეყრის სხვადასხვა ადგილებში დაამონტაჟოს ხმის გამაძლიერებლები და მოაწყოს რადიო გადაცემების საჯაროპრეზენტაციები და განხილვები).

„მოზაიკას“ სტრატეგია

დასახულ მიზნებს გორის სათემო რადიო „მოზაიკა“ შემდეგი გზებით მიაღწევს:

- „მოზაიკის“ დამფუძნებელია ა/ო „სტუდია რე“, რომელიც 2006 წლიდანსათემო რადიოებს საქართველოს მასშტაბით აფუძნებს. აღნიშნულიორგანიზაციის მრავალწლიანი გამოცდილება, გარანტია იმისა, რომ„მოზაიკას“ საჭიროების შემთხვევაში, ძლიერი და სასარგებლოკონსულტანტი ეყოლება.

- „მოზაიკის“ პარტნიორია საერთაშორისო ორგანიზაცია „ნიდერლანდებისინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“. პარტნიორობისფარგლებში, აღნიშნულმა ორგანიზაციამ „მოზაიკა“ საოფისე ფართითუზრუნველყო, რომელიც უკვე აღჭურვილია შესაბამისი საოფისე დატექნიკური ინვენტარით. „მოზაიკას“ აღნიშნულ ორგანიზაციასთანთანამშრომლობა აძლევს უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში მუშაობისშესაძლებლობას.

- „მოზაიკის“ გუნდი დაკომპლექტებულია იმ ადამიანებით, რომლებიცწლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივთემთან. შესაბამისად, იციან და იაზრებენ მათ საჭიროებებს. „მოზაიკა“ საკუთარ სარედაქციო პოლიტიკას სწორედ ამ ადამიანური რესურსისგამოყენებით გეგმავს და განსაზღვრავს.

- „მოზაიკის“ გუნდის წევრები, წლების განმავლობაში, ახორციელებლდნენსხვადასხვა პროექტებს. შესაბამისად, აქვთ სხვადასხვა დონორორგანიზაციებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება. აღნიშნულ რესურსს „მოზაიკა“ აქტიურად იყენებს ახალ–ახალიპროექტებისთვის დაფინანსების მოძიებისა და რადიოს გაძლიერება–განვითარებისთვის.

- რადიო გამოიყენებს ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რაც გულისხმობსაპლიკაციების შექმნას მობილური ტელეფონებისთვის. ეს საშუალებასმისცემს მსმენელს მოუსმინოს რადიოს მობილური ტელეფონისსაშუალებით, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. რადიოს ასევეექნება ძლიერი ვებ-პლატფორმა, რაც მსმენელს საშუალებას მისცემსრადიოს ინტერნეტის საშუალებითაც მოუსმინოს.

„მოზაიკას“ სამაუწყებლო ბადე

<u>ორშაბათი – კვირა</u>

8:00 – 10:00 – დილის გადაცემა „მოზაიკური დილა“ (ამინდის პროგნოზი, სავალუტო კურსი, სამომხმარებლო ფასები პროდუქტზე, დღის კალენდარი, დღის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების ანონსი, სამედიცინო რჩევები, კულინარიული რეცეპტი, პრესის მიმოხილვა, მუსიკა)

10:00 –11:00 – მუსიკა

11:00 – 12:00 – რუბრიკები („თემის ხმა“, „პირველად ისტორიაში“, ‘ნაწყვეტი დღიურიდან“) და მუსიკა

12:00 – 12:30 – გადაცემა „ჩემი მუსიკალური სამყარო“

12:30 – 13:00 – მუსიკა

13:00 – 14:00 – შუადღის პროგრამა „მოზაიკური შუადღე“ (დღის სიახლეები, მსოფლიო ამბები, ამინდის პროგნოზი, სავალუტო კურსი, დღის კალენდარი, დღის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების ანონსი, მუსიკა)

14:00 –14:30 – „თემის ფლეილისტი“

14:30 – 14:35 – რუბრიკა „ჩემი მუსიკა“.

14:35 – 14:45 – რუბრიკა „მუსიკა ცვლილებებისთვის“

14:45 – 15:00 – მუსიკა

15:00 – 15:05 – საინფორმაციო გამოშვება „თემის ამბები“

15:05 – 16:00 – მუსიკა, რადიო „მოზაიკის“ გადეცემების ანონსები.

16:00 – 17:00 – რუბრიკები („სასარგებლო რჩევები“, „უცნაური ამბები“, „იცით თუ არა, რომ...“) და მუსიკა

17:00 – 18:00 – მუსიკა

18:00 – 18:15 – საინფორმაციო გამოშვება „თემის ამბები“.

18:15 – 19:00 – მსოფლიო სიახლეები, დღის კალენდარი, ამინდის პროგნოზი, სავალუტო კურსი, მუსიკა.

19:00 – 19:30 – საავტორო გადაცემები („სოციუმი“, „ესტაფეტა“, „საუბრები“, „თვითმმართველობის დრო“, „ინტერვალი“, „კინო-ბიბლიოთეკა“, „ცხოვრება კოტეჯში“)

19:30 –21:00 – საღამოს პროგრამა „მოზაიკური საღამო“ (დღის სიახლეები, ამინდის პროგნოზი, სავალუტო კურსი, „თემის ხმა“, „ნაწყვეტი დღიურიდან“ მუსიკა)

21:00 – 22:00 – რეტრო და კინო მუსიკა

22:00 – 23:00 – რუბრიკები („სასარგებლო რჩევები თემის წევრებისგან“, „ბედნიერება ჩემთვის“, „ჩემი მუსიკა“, „პირველად ისტორიაში“, „თემის ხმა“)

23:00 – 00:00 – გადაცემა „ფბ სტატუსები“

გადაცემები:

სოციუმი - გადაცემის ავტორი და წამყვანია ნათია ომაძე; გადაცემის თემები ადამიანის უფლებების, ტოლერანტობის მნიშვნელობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარშემო ტრიალებს. გადაცემის მიზანია, ხელი შეუწყოს თემის წევრების მიერ საკუთარი სოციალური პასუხისმგბელობის გააზრებას.

ესტაფეტა - გადაცემის ავტორი და წამყვანია გიორგი ოგანესიანი; გადაცემა სპორტულ სიახლეებთან ერთად, მსმენელს იმ ადგილობრივ სპორტსმენებს აცნობს, ვინც უკვე წარმატებულია ან ამჟამად ემზადება წარმატებისთვის.

საუბრები - გადაცემა მზადდება „მოზაიკის“ გუნდის მიერ; გადაცემა თემისთვის მნიშნელოვანი და აქტუალური პრობლემების მიმოხილივასა და თემის წევრების ჩართულობით, მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო გზების ძიებას ეთმობა.

თვითმმართველობის დრო - გადაცემის ავტორი და წამყვანია ლადო ბიჭაშვილი; გადაცემის თემა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებია; გადაცემის მიზანია, ბიძგი მისცეს თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ საჯარო მსჯელობების/განხილვების დაწყებას.

ინტერვალი - გადაცემის ავტორი და წამყვანია ლიკა შამუგია; გადაცემა კულტურის სფეროში მომხდარ სიახლეებზე მსჯელობას ეთმობა; მისი მიზანია, თემის წევრებში პოპულარიზაცია გაუწიოს ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: კინოს, თეატრს, მუსიკას, მხატვრობას და ა.შ.

კინო-ბიბლიოთეკა - გადაცემის ავტორი და წამყვანია ანა გოგოსაშვილი; გადაცემის მიზანია, კინოთი და ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანებს მისცეს საშუალება ამა თუ იმ რეჟისორის/მსახიობის/მწერლისპოეტის შესახებ საკუთარი შეხედულებები და მოსაზრებები გაუზიაროს თემის სხვა წევრებს, მისცეს მათ რეკომენდაციები და ამ გზით, ხელი შეუწყოს თემში კრიტიკული/ამალიტიკური აზროვნების განვითარებას.

ცხოვრება კოტეჯში - გადაცემის ავტორი და წამყვანია იზა ოქროპირიძე; გადაცემის თემა იძულებით გდაადგილებულ პირთა საჭიროებებსა და პრობლემებს ეხება. გადაცემის მიზანია, დიალოგში, უშუალოდ, იძულებით გდადაგილებულ პირთა მონაწილეობით, ხელი შეუწყოს მათი პრობლემების იდენტიფიცირებას და მათი მოთხოვნების ფართო აუდიტორიამდე, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე, მიტანას.

„მოზაიკა“ - არამომგებიანი რადიო

გორის სათემო რადიო „მოზაიკის“ საქმიანობა არამომგებიანია. მისი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს:

- გრანტი;
- კომერციული რეკლამა, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული;
- სპონსორობა, ასევე ეროვნული კანონმდებლობით რეგლამენტირებული;
- პირადი შემოწირულობები, რომელსაც თემის წევრები ლეგალურად გაიღებენ სათემო რადიოს განვითარებისთვის;
- თემის წევრების საწევრო გადასახადი.

დაფინანსების ასეთი სისტემის არსებობა და გამჭვირვალობა გამორიცხავს, რომ სათემო რადიო აღმოჩნდეს როგორც ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების, ასევე სხვადასხვა კომერციული სტრუქტურის ზეგავლენის ქვეშ. პოლიტიკური პარტიებისა და სხვა ინტერესთა ჯგუფების დაფინანსება დიდ საფრთხეს უქმნის სარედაქციო დამოუკიდებლობას. ამიტომ „მოზაიკა“ უარს ამბობს დაფინანსების მსგავს წყაროებზე.

„მოზაიკა“ - რადიო, რომელსაც მოაქვს სოციალური სარგებელი

თემის განვითარებაზე ზრუნვა სათემო რადიოს საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. სათემო რადიოში ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მას აკეთებენ თემის წევრები თემის სხვა წევრებისთვის ამავე თემის გასაძლიერებლად.

სათემო რადიოში:

- უნდა იყოს მაქსიმალურად ადეკვატურად წარმოადგენილი თემში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი;

- აქ უნდა იყოს ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი და ასაკობრივი ცენზის გამო თემის არცერთი წევრი არ უნდა იყოს დისკრიმინირებული.

არ არის აუცილებელი, რომ სათემო რადიოს პროგრამები ჟურნალისტურად გამართული იყოს. მთავარია რომ მას სარგებელი მოჰქონდეს თემისთვის და მისი თითოეული წევრისთვის. ამიტომ სათემო რადიო უფრო სათემო ცენტრს წარმოადგენს, ვიდრე მხოლოდ მედია საშუალებას.

„მოზაიკის“ საბჭო და მენეჯმენტი მუდმივად დაინტერესებულია, რომ თემიდან რაც შეიძლება, მეტი მოხალისე მოიზიდოს და შეასწავლოს, ერთი მხრივ, რადიოსაქმე და პროგრამების მომზადების ტექნოლოგია, მეორე მხრივ კი, მათგან აქტიური სათემო მუშაკები მიიღოს.

„მოზაიკა“ აცნობიერებს, რომ მოხალისეები აძლიერებენ თავად სათემო რადიოს და მთელ თემსაც.

სათემო რადიოს განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყანაში დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესის წინსვლას.

N	ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის, აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ												
	საწესდებო კაპიტალის წარმოშობის შესახებ				აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ								
					კომპანიის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი აქტივები			პარტნიორის ან აქციონერის მიერ წილობრივი მონაწილეობის სახით შემოტანილი აქტივები			უსასყიდლოდ ან/და გრანტით მიღებული აქტივები		
	საწესდებო კაპიტალში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირების ჩამონათვალი	საწესდებო კაპიტალში შენატანი (ლარებში)	საწესდებო კაპიტალში შენატანის წილი (%-ში)	საწესდებო კაპიტალში წილის შეტანის თარიღი	დასახელება	შეძენის თარიღი	შეძენის ღირებულება	დასახელება	გადაცემის თარიღი	ღირებულება	დასახელება	გადაცემის თარიღი	ღირებულება
1											შტატივი (მიკროფონის დასამაგრებელი; 4 ცალი)	2016/16/05	148,6
2											მაუსი (lenovo (შავი); 2 ცალი)	2016/16/05	26
3											კომპიუტერი (lenovo (შავი); 2 ცალი)	2016/16/05	2460
4											მონიტორი (lenovo (შავი); 2 ცალი)	2016/16/05	564
5											დინამიკები (SVEN (შავი); 2 ცალი)	2016/16/05	258

6											კლავიატურა (lenovo (შავი); 2 ცალი)	2016/16/05	56
7											მიქმერი (OMNITRONIC პატარა-შავი)	2016/16/05	330
8											მიკროფონი (SHURE VS200; 4 ცალი)	2016/16/05	371,6
9											ყურსასმენი (PANASONIC;4 ცალი)	2016/16/05	228
10											დიქტოფონი (OLYMPYS; 3 ცალი)	2016/16/05	381
11											კონდიციონერი (MIDEA; 2 ცალი)	2016/16/05	1298
12											UPS (APC; 2 ცალი)	2016/16/05	920
13											მიქმერი (დიდი)SOUNDCRAFT	2016/16/05	795
14											Micro Amplifier (Behringer)	2016/16/05	200
15											პრინტერი - 3 in 1 (CANON MF 3010)	2016/16/05	449
16											მაუსი (Genius)	2016/16/05	8
17											კლავიატურა	2016/16/05	12
18											მონიტორი (Genius)	2016/16/05	110

19											კომპიუტერი (SONY)	2016/16/05	290
20											Auto Hybrid (JK Audio)	2016/16/05	507,57
21											FM Transmitter RT FMS-1001 IP RDC RDS	2016/16/05	6104,2
22											FM ANTENA	2016/16/05	8602,654
23											COAXIAL CABLE LCF 12-50 (120მ)	2016/16/05	1920
24											CONECTORI	2016/16/05	39,81
25											UPS cl 3000 3 kva	2016/16/05	2358
26											მაგიდა	2016/16/05	320
27											თარო	2016/16/05	240
28											ტუმბო	2016/16/05	1600
29											მაგიდა	2016/16/05	220
30											სკამი (15)	2016/16/05	570
31											თარო	2016/16/05	100
32											მაგიდა	2016/16/05	220
33											ქალები ქალაქს მიღმა	03.10.2016	3500 (დღევანდელი მდგომარეობით)

დირექტორი გვანცა დოლუაშვილი